



მ

ე

ს



საქოველ-კვირა ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

3 ნომერი

გამოცემა

№ 11

კვირამდელი

1885 წელს.

ფასა „თეატრის“

წლით ხუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მან. შეიძლება ნაწილ-ნაწილად შემოკლანა წლის ფასისა: ხელის-მოწერისათვის სამი (3) მანეთი, მაისში ერთი (1) მანეთი და მარიაშობის თვეშიაც ერთი (1) მანეთი ცალკე სომეხი „თეატრის“ადიან სამი (3) შაური. ფასი განცხადებისა: მეორე გვერდზედ სტრუქტურა 5 კაპ, პირველზე 10 კაპ. მთელი უკანასკნელი გვერდი 20 მანეთი, პირველი 35 მანეთი.

ხელის მოკვება მათგან:

თბილისში გრ. ხარკოვინის წიგნის მაღაზიაში და „თეატრის“ რედაქციაში. ქუთაისში ძ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გორში ს. მგალობლის შვილთან. თელავში ი. როსტომიშვილთან. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлиси, Редакция „Театра“. კორესპონდენტები და საზოგადოთ ნაწერები პ-რ-ად-პირ „თეატრის“ რედაქციაში უნდა გამოგზავნოს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ავტორს ვერ დაუბრუნებს.

ამ მეფერთმეტი ნომერთან ეკვავებათ ხელის მომწერლებს ჩვენის პოეტის თავ. ალექსანდრე ჭავჭავაძის სურათი.

ქართული



თეატრი

დღეს, კვირას,

3 ნომერი.

ქართული დრამატული დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I
კინგო

დომედ. 3 მოქმედ., თხზ. თ. ა. წარმართლისა.

II

ერთდეთცეცხლსა

დრამატული ეტიული 1 მოქმედ., თარგ. მ. ს. დასაწყისი 8 საათზე.


ქართული თეატრი



წარსული კვირის სპეციალური, როგორც მატერიალურის მხრით, ისე არტისტების მეცადინეობით ერთს საუკეთესოთაგანად უნდა ჩათვალოს ეს დღეს სეზონში. ბასსისანის ახლგაზდობის და ხელისების გარდა, რომელნიც ყოველ-

თვის მუყაითად დაარბიან და ქართული თეატრის მედია ზეზღავას შედგენენ, ამ ბოლოს წარმოდგენასევე აქა-იქა ლოყებში და კრესლერებში გამოხსენენ ჩვენი მინდალსნები კავალერებითურთ. მოკვილოცნაით, კითხვი იეოს თქვენი ფესი, ბატონებო და ქალბატონებო! არ ვიცი სსკება რასა ჭკამსობენ და მე კი, მერწმუნეთ— ყოველთვის, როცა თეატრში შევდივარ, მტკსვენიან და ესწითლდები ჩვენი საზოგადოების მკვიერ, რომლის ამატიან და გულ-გრილობას სასლგარი არა აქვს საზოგადოდ სამშობლო სსკებებისადმი...

27 დეანობისთვის, კვირა საღამოს, წარმოდგენის კარგად ცნობილი საზოგადოებისაგან სამ-მოქმედებისანი დრამა „არსენა“ და ერთ-მოქმედებისანი ვოდეილი, რუსულით გადმოკეთებული „დარჩეა და მანკისა“. „არსენა“, როგორც მოგესსენებთ, ბ. მახსუბარძის კალამს ეკუთვნის, რომელმაც ძირეულ ცოტა ხანში მოისკვეჭა სასული ნიჭიერის ბეჟეტრისტიან მთხრობების წერით მთიულებს და მოსკვეთა ცნობრებიდამ. დრამისათვის ბ. მახსუბარძემ მართლად და საინტერესო საგანს მიაგნო, მაგრამ მთხრობების ნიჭიერი მწერალი მეტად ულახოთა დრამატურად გამოდგა. შეიძლება სმირად ავტორმა ისტორიული სინამდვილე შეისწავლოს სტენის და დრამატული ხელისების კვირ მოთხრო-



ვინაა, მაგრამ ამ შემთხვევაში სულალო ის არის, რომ არც ისტორიული სინამდვილეა დაცული და სტუნიური და დრამატიულის სელაგნების განახლებაც უარყოფილია, ე. ი. მოხსნობის არსენა არც იმ არსენასა ჰგავს, როგორც გამოხატულია ხალხის სსოვნაში და სელაგნებითი კრიტიკის (художественная критика) მოთხოვნისაზე ვერ აკმაყოფილებს, როგორც დრამატიული ქმნილება, ამის მიხედვით, ხემის ფიქრით, ის უნდა იყოს, რომ ბ. მოხსნობის დრამა არსენას ცხოვრებიდან გამოჰყრილია წინადადება უნდა იყოს, ტენდენციისად. ისრე არაფერი არ ახდენს, ე. ი. აფუტებს შთაბეჭდილებას, როგორც მოძღვრება და სწოებითი სენტენციების პანტასკოტით სრულა სტენიად. უფრო ამ სასელ-განთქმულს უნდა არსენას და შენგულში ამბობ: აფსუს, რომ ეს ტუეში თულობის მაგაერ, ესლა ნემეცების გარკაში არა ჭადგობს“....

ადრე ბ. მოხსნობის ჩამინებული წნობის მსილებლად და მალეიებლად თ. გარსევან ამჟამის სსლში ვერ ვილაც განდობილი და უფროული სტუდენტი ჰყვანდა; ესლა იმის მაგაერ დაუყენებოა მოხსნობული ბიძა გარსევანისა, იორამ ამჟამე. იორამ ამჟამის სტენსად გამოყვანით ავტორს ვითომ ის არის უნდა გამოხატა, რომ ძველი თავადიული უფრო გაცურად ეშურობოდა თავის ყმებს, მინამ ახლად. ეს გარგი, მაგრამ, რუსულად ნათქვამისა არ იყოს: «Слышалъ звонъ, да не знаетъ откуда онъ!» — ეს სწორედ იმასა ჰგავს. მართლია უწინ ბატონთა და ყმთა შორის განწყობილება სულ სსვა იყო, მინამ იმ დროს, როდესაც არსენა გაყანდა; მაგრამ; ეს მამან იყო, როდესაც საქართველოს საზოგადოებრივ წეობილებას უცხო ცივილიზაციის ზედ-გავლენა და მოქმედება არ დასტუობდა. იორამ ამჟამე სრულიად არ ეკუთვნის ჭბუხობისა ეპოქას. იორამ მართლია ბიძა გარსევანისა, — შეიძლება იმისი დაბადებაც ასსოვდეს, მაგრამ რიიკენი ერთს სოციალურს ნიადგზედ, ერთსა და იმავე პრინციპებზედ არის აღზრდილი და მით შორის სსმდკრის ჩავდება არ შეიძლება. იორამი ვერაფერს უძინავს გარსევანს, იმიტომ რომ ეს მისი გარსდელია და „ქალილ და მინასი“ არ იყოს:

„ძელი რომ წყალში ჩაავდო, იცოდე არ დასძირავსა, რადგან მის წელით არს მორწყული, ამიტომ არ გასწირავსა!“
 გარდა ამისა, „არსენაში“ ზოგიერთი იმისთანა ადგილებია, რომელნიც მხოლოდ მოუთქმებლობის და წინ დაუხედაობის შედეგი უნდა იყოს. მაგ. გარსევანის ცოლი სიდონია სულ იმასედ ეხსუება ქმარსა, რომ ქალაქში ჩასვლას დაგვიკვირებოდა და მეორე მოქმედებაში კი თავადი გარსევანი ყანას ამკვირებს. რომელი სოფლის თავადი შეიძლება — ან გარანტოვის დროს, ან მის შემდეგ,

ჩამოდოდა სოლმე მის დროს, სარეპრეზენტაციული თბილისში? ნუ დავიწყებთ, რომ მოქმედების სწავლისას ვახიბებში ვი არა, სადაც ეჩენისთვის გასულს ნამგალი მღივს შედის ყანაში, არამედ საბარათიანობაში, სადაც თბათვის დამდეგსვე ჰოპუნას გუგუნი დგას. მართალია, ზოგიერთი ვენიები ძალიან დაყენებულები ბრძინებისა სოლმე, მაგრამ სიდონია ისეთი სულელი არ არის, რომ თბათვეში ქალაქში გამოარბოდეს და ამბობდეს სულ ყველანი „ხალაგდენა“, როდესაც ვარჯდ იცის, რომ იმ დროს აქედამ ყველანი სოფელში ვარბიან. ერთი შენიშვნა კიდევ. ხემის ფიქრით, არა ფერი ვაუ-კაცობა არ არის არსენას მხრით, რომ თავის ამხანაგით, ფეხზედ შემოყენებული თოფით უხვდეს ერთს ქალაქელს სირაჯს და სტარტავს. უფრო ეჭვობს იმად, რომ ავტორს ათიოდე სირაჯი გამოეყვანა და ტუეში არსენა შეესვედრებინა.

ესლა რიიოდე სიტუაც ვსთქვათ თვით მოთამაშეებზედ. არსენას როდეს აღსრულებდა თვით ავტორი, ბ. მოხსნე. ამის თამაშობაზედ არა ვკეთქმისრა იმიტომ ვი არა, რომ სათქმელი არაფერი გვექმნდეს, იმიტომ რომ „ზოგჯერ თქმითაც დაშვების“. ხვენ ვიცით, რომ ბ. მოხსნე სტენს უყვანს ისრე, როგორც რცის წლის შეყვარებულს ყმწვილს ქალი. მისი ბელეტრიკული ნაწისა ზიტვი-საცემლად იყოს და ივლას სურვილი; ხვენ ვი მოთმინების მეტი არაფერი დავგრჩენია. ბ. ხანშივე სირაჯის როლში, როგორც ყოველთვის ვაჭრის როლში, უწინა და შეუდარებელი იყო. გოგონის როდეს აღსრულებდა ქ. — ბ. საფაროვისა, ავტორის არაფრით, როდესაც არსენას ბეჭებში დამხანას დასტემენ, ნინო უცებ ჭეუაზედ უნდა შესცდეს და ტირილის მაგაერ, უნდა სარსარი დაიწეოს. ხარხარის მაგიერ ქ. — ბ. საფაროვისამ ერთი დაიკვლას, წამოხტა და გასქმებულივით დარჩა. იმ პოზის, რომელიც საფაროვის ქალმა მაილო, უფრო მეტი ევექტა ჰქონდა და ფსინოლოგიურ სინამდვილესთანაც ახლოა. არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ ზოგიერთის ახლას აქტიობებს, რომელნიც სინიდასიოდ აღსრულებდენ თავანთ როლებს. რიივე ძმები ტარიელეობა მეტის მეტად რიგანად თამაშობენ გლეხ-კაცების როლებს. ხმა, მისგან მოსკრას ნამდვილი გლეხ-კაცური აქვთ და კარგს შთაბეჭდილებას ახდენენ მიუთქმებლზედ. უკეთესი მოურავი და არსენას ნათლიამა ვერ არა ყოფილა ქართლის სტენსზედ, როგორც იყო უფროსი ტარიელევი. ბ. ი. ცაგარელი იორამ ამჟამის როლში ვარგი დაბაისელი თავადი შეიძლება იყო. ბ. მაქსიამე თავის უხერხული თამაშობით და როდეს უცოდინარობით ახსამლს აფუტებდა. „არსენას“ შემდეგ წარმოადგინეს ერთ-მოქმედებანი



ვოდველი „დასრულ და მხეკას“. მხეკას სადაური კინ-
ტოს სასკლად, ეს არ ვიცით, შინაარსათაც მეტის-მეტი
ქადაგებულებ რამ არის ეს ვოდველი, მაგრამ ქ—ბ. სა-
ფარსკის თამაშობამ, სასაფარსკის, ცქრიალას ქალის რაფ-
ში, აღტყვებში მოიყვანა და ესტეტიურად დაატყობა
მეფერებელსა. მონამსახურე დედა-კაცის რაფში კარგი

იყო ქ.—ბ. გიორგობიანის მშვენივრად დასრულდა
ეს ვოდველი „რევიზორში“ უსტარ-აფიცურმა ზოძლი-
რკინის რაფს. სასოგადოდ რაფე შეესება კარგად
სადასრულს.

დავით სოსლანა.



უ ა რ დ ი

„რა ვარდმან თვისი ყვაილი გაახმოს, დაამჭენაროსა,
იგი წაუა და სხვა მოვა ცურფასა საბაღნაროსა“.

რუთველი.

ჩემას სახლის წინ მქონდა ბღის უცხოთ მორთული,
ტურფა, კეკლეტი, ყვავილთ საესე, სესილით რეგული;
შივ წყაროები უდარდელოდ კასკასით რბოდენ,
ყვავილთა რწყავდენ, იცინოდენ, უსკარულს შირბოდენ.

ფერად ყვავილთგან გამოკრეფილს საამო სუნსა
მაცხოვრებელად ტკბილი სიო ჭყენდა არესა;
ხმა განუწყვეტლად, ვარდთ მიჯნური, სტკვენდა ბუღბუღელი
და უცხო სმებით იყო მიდამო დატყუებულელი!...

უცხო რამ იყო!—კავშანთა გაგაქარებდა...
მაგრამ მათ შორის ვარდი ერთი მეტად მიყვარდა:
სულ სხვა რამ იყო: სხვებზედ ნაზი, კეკლეტი სხვებზედ.—
ტოლი არ ჭყენდა მშვენიერსა მთელ ჭყვენასზედ!

ხმნდა რომ მებავს იგი ვარდი სხვათა უფროსად,
ბრძანებულად იქ დაენიშნა და ზედ-მსედველად...
იდგა ამაყად, ირსეოდა, ამპრტყენობდა,
ღიმილს ისროდა, სუნსა ჭყენდა და კასკასებდა!....

ვაფრინდენ დრონი... ერთსელ სასაღრო გასარბული
მერს! სიამით საშინელად უძგერდა გული.
„შეკდეუ ბაბუ! შენი ვარდი როგორ დამჭენარა.
აღარც ფერი აქვს, აღარც სუნი, კირწხედ მიმხმარა.“

«მას მაგიერად იმავე კირწხედ მშვენიერება
გუგური უცხო ფოთლიანი გამოჩენილს!
ვიშ, მისრინ!—ეს გუგური ჩემი იქნება!
რს, მიფეთქს გული!—გულიც მეტად გასარბული!...»

ამ სიტყვებითა სანდრო გულზედ ჩამეკრა გრძნობით,
სამკერ მაგონა, თვით გუგურმა, ჭადრა თავზედ...
ცრემლი მომადგენ!... და მოსუტმან ტირილის სმებით
უთხარ შასუსად და ცრემლები ვაფრქვეე მსრებზედ!

„ჭო, განაცვალე!... ჩემი ვარდი უკვე დამჭენარა,
აღარც ფერი აქვს, აღარც სუნი—კირწხედ მიმხმარა!
ჭო, ეგ გუგური, ვარდუმელი, ბაბუ, შენია,
აწ ტრფივალეა ვარდებისა შენ დაგრჩენია!...“

— «დღეს ერთი ხარობს, ხვალ მეორე ვარდაშლებს,
ის დამშვენებს დროებითად უცხო წალკოტს,
მაგრამ რს! ისიც, ვით რომ სხვანი მალე დასტკენება,
და სხვა დაიჭერს ამ წალკოტში მაგივრობას!...“

გ. თირველი.



ეროვნული



ფელტონი

მურა დანიტოვიძე.

თავი IV

(შემდეგი *)

დედინაცვალი—თვალში ნაცარი.

დიდი, ძალიან დიდი და გაუვალი ჭალაა. დიდრონ და სძირ ფოთლოვან მურყნებს და მუსებს ერთმანერთისთვის ძმურად გადაუსხვევიათ ტოტები. ჰატარძალსავით მორთულს შუინდს და ჰანტას დაუკიდნიათ ტოტები მეტის-მეტი მსხმოიარობისაგან. აქა-იქ ხეებ შუა ისარივით ამართულა ლბილი ივნი, რომლისთვისაც ქოლგასავით გადმოუსურავს თავისი ტოტები ამაყად ძაღლა წასულს შავს, ან თეთრს რცხილას. შიგადა-შიგ ჭალაში მოჩანან ან სულ მთლად გამსმარი ტიტველა ხეები, ან მუსა და მურყანი, რომელთაც, მიუსხედავად იმისა, რომ თითქმის მთლად გამომწვარი აქვთ ძირი ცეცხლით, მაინც კანივრად გაუშვიათ მწვანე სქელი ტოტები. საამოდ გადმოსჩქეფენ ჰატარა ფშები მათში ჩაცვივრულ გამსმარ ტოტებსედა და დინჯად ატოკებენ თითქოს დაღონებულნი ტირიფის ჩაკიდებულს გრძელ და ლბილს ტოტებს. ხანდის-ხან ცელქურად გაურბენს სოლმე ხეებს ნიაფი და არღვევს ჭალის მეუდროებას: ფოთლის შრიალი და მოტეხილი ჰატარა ტოტების ლაწა-ლუწი არის ამისი შედეგი. ჩუმიდება მაშინ ყოველი ფრინველი, მარტო ხეკაკუნა არა სტოკებს თავის კაკუნს და იმის ერთ-გვარი კაკუნი მოაკონებს კაცს შორიდან კაკონილს ცულის ცემას...

ამ ჭალაში ვაკორებულა ხეებ ქვეშ გიგუა

და ეს მას ძალიან უკვირს, უკვირს რომ იმას არ ახსოვს, თუ როდის მოვიდა აქ, მაგრამ ბევრი მაინც არ უფიქრნია იმას ამაზე. აი იმან დაინახა, რომ ეველასედა ძაღალ ხეს ერთ ტოტსედა ვაშლი აბია.

— „საკვირველია, ღმერთმანი, ჰუფიქრობს გიგუა, ეს ხე ვაშლის ხე კი არ არის და ამას რათ აბია ეს ვაშლი? აბა ერთი ავიდე ვნახო“, იმანის ის და ადის კიდეც. მერმე რა საკვირვლად ადვილი იყო მასსედა ასვლა: სადაც კი ფეხის დასადგმელი მოუნდებოდა სოლმე, იქ მაშინვე ჩნდებოდა ის. აი ის ავიდა ძალიან ძაღლა, სედა ხის კენწეროსედა მოექცა. შესედა ვაშლს—ვაშლი თეთრი იყო; ჰატარა სანს უკან ის გაწითლდა.

— „რა კარგია ამის მოწვევა“ გაიფიქრა გიგუამ და გადავიდა კიდეც ტოტსედა. ტოტი დაინარა იმის სამძიძისაგან.

— „უ...უ. უ... ჩავარდები!...“ სთქვა იმან და ჩაიხედა ქვევით. ქვევით ჩახედავამ უფრო მან შეაძინა: სად იყო ის მშვენიერი ბალასი, ის მშვენიურად მოჩანჩქარე ფშა, რომელიც ამ ხის ქვეშ მოდიოდა?!

მათ ნაცვლად იმან დაინახა საშინელი უფსკრული, რომელსედაც გადაუდულიყო ვაშლიანი ხე, თითქოს ჩავარდნას აპირებსო უფსკრულს შავად და ღრიალით მომდინარე წვალში. გიგუა გაფითრდა შიძისაგან და დაიწია უკან. იმისი ზურგი შეესალა ხეს. ხე ფუტუროსავით გადაიმტვრა და ჩავარდა უფსკრულში. ის უფრო მაგრამ მოეჭიდა ტოტს; მაგრამ აი ის ძალიან კარგათ ჰგრძნობს, რომ ზურგში მას ვიდაც აწივება და თანაც ანიძნებს, მოწვევით ვაშლი. გიგუა, რასაკვირველია, არა ჰმორჩილდება, რადგანაც იცის, რომ ვაშლიმდის რომ მივიდეს, ტოტი ჩაუტყდება; მაგრამ ის მაშინვე სიამოვნებით ამჩნევს, რომ ამას ურ-

*) იხილე „ფელტონი“ № 10.



ბ. ალექსანდრე ჭავჭავაძე

ეროვნული
ფილიალი

ჩვენს თავისი საყვარელი მიცვალებული დედა.

— „მოწვიტე, შვილო, ეს ხე ჩემი დარ-
გულია და ამ ვაშლს შენის მეტს არაფის მივ-
ცემ“, ეუბნება დედა.

გიგუა მიცოცავს ტოტხედ. აი იმან ვა-
წვდინა კიდევ სელი ვაშლისაკენ, მაგრამ ტო-
ტი უცხად მოსტედა და ის (გიგუა) ტყვიასა-
ვით წავიდა ძირს. გიგუამ ერთი კიდევ მოას-
წრო აესედნა მალლა და იმის გაკვირვებას არ
ჭქონდა სამსლვარი, როდესაც დაინახა, რომ
ხესედ იღვა იმისი დედინაცვალი. მას გული
აუღუღდა ჯავრით და დაიწყო გულ-ამოსკვნით
ტირლი.

— „ო...ო... შენ მარიაში ჭყოფილხარ? შენ
იმიტომ მიიღე დედი-ჩემის სახე, რომ ჩემი
დაღუპვა გინდოდა? კარგი, მაგრამ ღმერთი არ
შეგარჩენს“...

— მოკვდი! გაჭკივის სმა მალღივ უსირ-
ცხვილო დედინაცვალი, — მოკვდი! გიგუა ჩა-
ვარდა ძირს, დაეცა წელის ჰირსედ. რაღა თქმა
უნდა რომ იმ სიმაღლიდამ ჩამოვარდნილი
ბავშვი კვდარივით ეგდო.

მაგრამ ჰატარა ხანს შემდეგ გიგუა თითქოს
ჭკრძნობს, რომ გონსედ მოდის.

— „რაქნა, რამ დამისხნა“ იმანის ის,
და ხედავს, რომ ის რაღაცა ტყავსედ დაცემუ-
ლა რბილად, ვერ არის ტყავი კარგი, მაგრამ
რა რბილია და?! — თითქოს დომაკიაო.

— „ახ, ეს სომ მურიანს ტყავია! გულ-
განეთილი წამოიძახა ვასიკომ და მოაგონდა
კიდევ თავისი ძმბავი: იმან გამოეღვიძა.

— „ო, ეს სიხმარი იყო,“ სიამოვნებით
წამოიძახა გიგუამ, როდესაც კვლავ დაინახა,
რომ იმისი მურია ისევ იმის გვერდით იწვა.
იმან მიისედ-მოისედა. ჰირველი განთიადი იყო.
ცოტათი შენათებულიყო ცა და აღმოსავ-
ლეთისკენ ცისკარს ღაჟ-ღაჟი გაჭქონდა ცის

სივრცეში. ცუდი სიხმრით დაქანცულმა გიგუამ
წაისურა საბანი, მოიქცია კედლისკენ მუ-
რია, რომ ის ვერას გვით ვერ გამოეღვიძათ
მასთვის ხელიდამ და წავიდა ღრმა დილის
ძილში. დილის რვა საათი იქმნებოდა, რო-
დესაც გიგუას მეორედ გამოეღვიძა. მის მი-
სამშვიდებელი ჭმინი გათავებული ჭქონდათ
ფრინველებს. მიურეებული იყო სოფელი, მხო-
ლოდ ცაში ნავარდობდენ მერცხლები, რომლე-
ბიც ხან-და-ხან კიჟინით მთელი გუნდნი სდევ-
დენ საშოვარსედ გამოსულს მიმინოს.

ჰირველ გამოღვიძებასედევე გიგუამ. გადაჭ-
ხედა მურია და ნახა, რომ ის იქ არ იყო. ის
შევიდა შინ—შინაც არაფინ დახვდა. არც მა-
რიაში, არც გოგია შინ არ იყვნენ.

ი. რვეიშვილი.

(შემდეგი იქნება)

ზიგლიოზრაჟიული ზანიზნა

3 ასაც ჯერ შეშის და საზამთრო ტანისამო-
სის თადარიგი არ გაუწვია, მისარბია, ჯერ
სუ შეწუნდებიან, ამიტომ რომ უთუოთ წრეულს კარგს
ზამთარს უნდა მოკვლოდეთ. ამისი უტყუარი ნიშანი,
სომხების კალენდარმა გი არა, დღეს ჩვენ ყოვლად დარ-
ბაისელმა და ყოვლად პატივცემულმა „ივერიაში“ მო-
ცა; როგორ დირს შესანიშნავი არ არის, სექტემბრის,
ნომერი 28-ს ღვინობისთვისას გამოვიდა! ეს გარემოე-
ბა თვით დარბაისელ რედაქციას ისე გაჭკეპია, რომ
ურსადის ჰირველ ფურცელსედ ცალკე გამოუცხადებია
სყოველთაო საცნობელად. დაიღაც, რომ ეს ისეთი იშვია-
თი მოვლენაა, რომ ერთი გუდიანი ვანსკვლავის გამო-
ხენა თუ შეედრება.

უვანსკენელს სამს ნომერში მოჭეულს მონებით
საუნჯესედ ჩვენ ცალკე ამ ცოტას ხანში მოვიღებამრავებთ.
ესლა მხალოდ ორიოდ გრძობით სავსე სიტყვას
გუძვნით უვანსკენელის ნომრის „შინაურ მიმობლ-
ვას“. ნაცარჭქეის ავტორი შინაურის მიმობილვის თავს
იკარგავებს თავის მკითხველებთან, წუწუნებს და არწმუ-
ნებს მათ: „მე გი მართლა ესრეთი საცოდავი და საშვარი
სუ გგონივართ მართლაო. „მე თქვი ვარ და ჰირი



საქართველო
საზოგადოებრივი

ადმონიშნული აზრები ქინესი, ხელოვნების შესახებ.

ხელოვნება

როგორათც ხელოვნებაში, აგრეთვე სამეცნიეროში მიზნები არ არის, მხოლოდ გაცი ქნეოგავს თავის მცრედს გონიერების მიზნებს და საშუალებებს. ხელოვნება ხალხის დროებითი მესედულობებისგან განთავისუფლებული უნდა იყოს, რადგანც დედამიწის ზურგზედ, ყოველს უამს ხალხისაგან იცვლება, როდესაც სსვა-დასსვა რვეულს ერთათ შეკავშირება ხდება. ხელოვნური მეტნიერებაანი, რომელნიც ერის მხარესედ წნეობრივით ირცხვიან, მეორე მხარეს უწნეოთა სახეენ. ჩვენი გამანათლებელი ხელოვნება, უიეცარს მუსულმანებს, საწიხლრათ მიხნიათ და აგრეთვე ჩვენ იმითი; თუმცა კი ამხელოვნებას იმათმა პირველი ფართო ადგილი უკავია. (3.148).

ხელოვნებაში სუეკელაფერი ფორმა; შინაწისი კი არაფერი. შტაუბი იმევე ფულებს იღებს სერტუემა, როცა მადს ამღვეენ და იმ შემთხვევაშიაც როცა თავსას ასმაჩებს. (8.189).

სმები და სიტყვები, ვჩასკები და ფორმები, საერთოთ ეველს მოვლენანი—მხოლოდ იდეის სიმკოლები არიან, ის სიმკოლები, რომელნიც სულით აამღლებენ მხატვარსა, როდესაც იგი წმინდას სამეაროს სულით ადღებებუღია. ყოველივე ხელოვნური თსუსულებანი მხოლოდ იმის სიმკოლები არიან; რადგანც ამ საშუალების ძალით, იგი აცნობს სსვას, რომელნიც სულით შეკავშირებულნი არიან, იმის იდეებთანა. დიდი და წინანსებული მხატვარი, ის არის, რომელიც მტირედის და უბრალის სიმკოლის საშუალებით ბევრს და დიდს მნიშენეღიანს ამბობს. (გძელი სიტყვა მოვლედ ითქმის შაირია ამით კარგი. შ. რ.). (6. 128).

როდესაც კაცობრივობა სულით მღღებება, ხელოვნობაც იმას მისდევს და წარმატებაში შედის, ესე იგი, მკლავ და მკლავ გადასველნი ერთი თანა-მოგზაურნი არიან. ძველ დროს ხელოვნებაში, არსიტეკტურას პირველი ადგილი ეჭირა, მხოლოდ ეკვიპტელებს ემხნეოდათ შეუენებელი და ამყური პირამიდების ამართ დიდება; ბერძნებმა ქანდაკობა (სუელბტურა) დაჭბადეს, ხორცი სულს ემარანილება და როდესაც იგი ამღლებაში შედის (სული) სრულიად კაცობრიობასა სცვლის, მაშინ კაცს სრულიად სსვა-დასსვა მოთხონილებანი აქვს, იბადებბა: სიჰჰარული... და ამას თან მოსდევს ადამღლებელი გულის მღღევაარება. ხმებშია ამ სოფლიურნი ქვეყანა გამონატული. მუსიკა უკანასკნელი სიტყვაა ხელოვნებისა, როგორათც სიგედილი უკანასკნელი სიტყვაა სიცოცხლისა. (6.265).

მსატრობითი თსუსულების იდეა გრძნობიერები-

წელითა მძკეს სსვე, თორემ ჩემი კაღმის მჭევრ-მეტუველონს მთელს ქვეყანას წაღვეკავო!.. მე
„ლომი ვარ ქანგში ჩაბმული,
უმრად სულ შეპურობილი!..“

თორემ მთელს ქვეყანას გადავბრუნებდიო და სს.“ ძალეუნებურად მაგონდებოდა მოლა-მასრადინას ამბავი: რუსედ რომ გადასტა და შიგ ჩავარდა „ვასი, შე ჩემო სიბერეკაცეო“ დაიძახა სმა ძაღლა; როდესაც მიისედ-მოისედ და და ახლო არა ვინ იყო, თავისთვის წაბრეტბეტა: „ე, არცა-რა სიუმწვილეში ვიყავი და არცა-რა ფერი ესლს ვარო“. ამის შემდეგ, შინაურის მამოხიღვის სავნად აუღია დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის-მის და მათი უწმინდესობის, სომსკების ზატრიაარისის, მკავარის, მობრძანება თბილისში. თითქოს მართლა სსვა აღარა ფერსედ შეიძლებოდაეს ბასნი? მაგრამ ეს მხოლოდ ფარი გახლავთ, რომლისთვისაც ამოუგარების ავტორს საკუთარის გულის ბოღმა და ვაება. ახალი დროის, მამა მოხილი და თავნატრიაანი, იერქმისა ჭკოდებს, რომ ჩვენს ლიტერატურაში ყიზილბაშები და ბაშიბუზუკები შამოცვივდენ, რომელთათვისაც აღარა ფერი წმინდა არ არის, არც თვისი სწამთ, არც ტომიო, არც შინაური და არც გარეულიო... თუ ეს ყველაფერი მართალია, მამ მეორეთ მოსულა მოახლოვეულა და შეიძლება ანტი-ქრისტე კიდევ ჩამოსულიყვეს წიწამურის ვიწროებაში!.. მაგრამ, რა თქვენი სავადრისია, ბატონებო, ეს ქალახუნური წუწუნი, მკითხველ საზოგადოებასთან თავის შებრალება და მათ წინაშე დაბრლება თქვენის ლიტერატურულის მეტოქეების? ყიზილბაშების შემოსევა ლიტერატურაში? ეს ხომ იმასა ჭკავს: ჩემი არ გითხრა—გული რით დაგწავო რისთვის უარ-ქეოფთ, ლიტერატურულს ყიზილბაშობას, თუ ნამდვილად გესმით ამ ტრამინის მნიშენეღობა, რომელიც თქვენი შობილია და თქვენის მუსიკა აღსრდილი? რომლის მამა, თვით წმინდა ქაბაში ნაკურთხი და მქანდაგებელი თქვენი მოთავეა და წინამღვარი?..

რაც შეეხება ლიტერატურულს ბაშიბუზუკობას, დიად, ბაშიბუზუკები შემოცვივდენ, თუ ბაშიბუზუკებად უწოდებთ იმ მტირე რაზმს ახლგაზდა მწერლებისას, რომელიც ჭგმობს თქვენს ორ-პირობას, სიზარმაცეს, თქვენს „წამსდარ გმირობას“, საყვარელი მამულის და საზოგადო ინტერესების სასკელით შირადი ანგარიშების დვენას, თქვენს სიყაღბეს, სიცრუეს და გონებითს სიხლუნტეს...

დავით სოსლანი.

დგან იბადება და განსასოცოებლად შეკლას ჭანტა-
ზისაგან ითსოვს. ჭანტაზის მიგებების უმაღლესე ისეთის
მრავალის შეფერილის საშუალებებით სკდება, რომ იდე-
იას ის სრულიად გამტკვერება, თუ დაეკლებული გონება
არ შესკვდროდა და არ გაქინთავისუფლებინა. გონება—
სელოვნებაში ზოლიცაა. (6.262).

ივ. ჯაჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება)

სუთის წლის „ივერიის“ ნომრები, ვინც „დრამატი-
ულს საზოგადოებას“ იზოვის!!

„დრამატიული საზოგადოება დავკვირვავს

ნომ არ გინახავთ, ლოთებო!
ან ავლილი, ან ჩავლილი
ნომ არ გინახავთ, ლოთებო?!

ვირბის ომის შემდეგ, ქუთაისის გუბერნიასში
რამდენიმე ათასი ფუთი ჯარისთვის მომზადებული პრა-
ვიანტი დაიკარგა, ჩაიყვანა. როდესაც ინტენდანტებს
პასუხი მოსთხოვეს სასტიკად, მათ, „სრულიად როსიის“
გასაოცრად, მახსენეს მთავრობას, რომ პური ჭავჭავი,
გაფრინდა. რასაკვირია, ამ მოკვლამ ყველა გააკვირვა,
მაგრამ, როდესაც გამოძიეს, აღმოჩნდა რომ რიონის ლე-
ლეზედ თურმე მარცვლად შენახული პური სშირად გა-
ფრინდება სოფლე. ესლასიამოვნებით ვაცხადებთ, რომ
იმერლებს ჩვენ ვაჯობებ და თუ იმათ ხლობალი გაუფრინ-
დებათ სოფლე, ჩვენ მთელი დრამატიული საზოგადოება:
თვისი თავმჯდომარით, მისი თანაშემწით, წევრებით, სე-
კრეტრით, თვისი წესდებით და თეატრის მთელი გარდუ-
რობით გაგვიფრინდა! აბა სწორეთ ჩვენს ქვეყანაზედ
ამბობს პუშკინი:

„Тамъ чудеса, тамъ лѣшіи бродить,—
Русалка на вѣтвяхъ сидитъ!“

ეს ყველაფერი კარგი და ჰესტიოსანია. დრამატიუ-
ლის საზოგადოების გაფრენას ცის სივრცეში, თუ ქვე-
სკნელის, ანუ გარესკნელის ჯურღმულში, მანც და მა-
ინც ისრე ძალიან არ ვიწუხებთ და შავებს არ შევი-
ძობსავთ,—ნეტავი მსოფლად ჩვენის თეატრის, ათასი წვა-
და დაკვით, შეძინებული გარდერობი თან არ წაედოთ;
თორემ უძისოლად მატრიალურად შევიწროებული დრა-
მატიული დასი ყოველ თვეს მარტო ტანისამოსების
ჭირას 10-12 მანეთს იხდის.

დასასრულ კიდევ ვიმეორებთ, რომ ვინც დრამა-
ტიულ საზოგადოებას იზოვის, ჩვენს რედაქციაში სა-
ჩუქრად მიიღებს მთელის სუთის წლის „ივერიის“,
ნომრებს. ნიშნები საზოგადოებისა: შუა ტანისა,


შუათანა სისრულისა. მარდი და კუდ-ვარდის მსხტან
და მინარი. საქმეში სისწრაფე აქვს კუსი, ეწყობა
ქოსი და სს.

„თეატრის“ კორესპონდენცია

ფ.ოთი. ლენინობისთვის 24-ს. დრამატიული სე-
ლობის მოყვარებმა გამართეს წარმოდგენა
ფოთის კლუბის სცენაზედ. წარმოდგენეს ზ.
ანტონოვის სამ-მოქმედებიანი კომედია „მისი
დაბნელება“ და ა. ცხვარლის ფარსი „ბაი-
უში“. წარმოდგენა გამართული იყო, „წერა-
კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სა-
სარგებლოთ. წარმოდგენას ცუდად არ ჩაუვლია,
მოთამაშენი ჩინებულად ასრულებდენ თავიანთ
როლებს და განსაუთრებით ქალ. ელ. სტ.
ჰოპუა, პ. მ. და ს. მ. დამსწრე საზოგადოება
დიდად მადრიელი დარჩა და ჰირველ მათგანს,
სემოსსენებულ ჰირებში, მიართვა მძვენიერი
თავიგული და სანგრძლივის ტაძის კვრით გა-
მოუცხადა თავის სიამოვნებას.

წარმოდგენელებს ეგონათ, რომ რა-კი დიდი
ხანი გავიდა რაც აქ ქართული წარმოდგენა არ
გამართულა—ბევრი სალხი დაესწრობდა, მა-
გრამ იმედა უმტუნა და სალხი ცოტა დაე-
სწრო.

ფოთის საზოგადოება ყოველთვის გულ-
გრილად უცქერის ამისთანა კეთილ საქმეებს;
ჩემის ჭასრით, როცა აქ ქართული წარმოდგე-
ნები იმართება სი ლმე და ისიც რომელიმე კე-
თილი მიხნის ადსასრულებლათ, ამორჩეულმა
ჰირებმა უნდა იკისრონ ბილეთების დასაღება
(ამის ადსასრულება უფრო ქალებს შეუძლიანთ),
თორემ ისე არ მიდიან დრამატიულ წარმოდგე-
ნებსე.



ეროვნული
ცნობები ქველის გიგლიორთხვა

აქაური სასოგადოება დიდის თავის მტკრუ-
ვით მიდის ვინ იცის საიღამ მოთრეულ ფოკუ-
სნიკის ჰამპულობასედ და თეატრს კი, ამ სა-
ხალსო სკოლას, ეგრე რიგათ ვერ ეწეობა.

ბ. ბ.

ნ ა რ ე გ ი

როდის არის კაცი უბედური?

როცა ბედის ღიმილს მასი ჰხედავ,
რომ „თავადი“ დაგვიანონ
და არ ნაღვლობ, სიციხისთვის
გინდ დაგვიან და გინდ გვიანონ.

როცა გონით ზანტი უფსო კალმით
ველარც სჭრი და ველარც ტყვიტობ,
არ ვარგისარ მწერლად, მაგრამ
მაინც ისევ ზუბლიცისტობ.

როცა ვერ ცხოვრების უმეცარი
ველარც შედგომას მრავალს ელი,
გელის დევა ბოროტოვან,
გელის სევა და ნაღველი.

როცა გონით ნორჩი მძიმე საქმეს
უფიქრულად ჰქედს იღებ.
და რის ზიდვაც არ გიძლია,
იმ გვარ საგანს სელსა ჰქვიღებ.

როცა ენა შენდა უნებურად
გიმუნჯდება და გებმება,
შენსას სხვას ვერ აგებინებ,
არც შენ სხვისი გაგებება.

ზინ — დარ.

(შემდეგი იქნება)

„საქართველოს გაზეთიღამ“

ნოემბრის 8 დღესა, ჩეით წელსა თვილისში.

№ 36.

ცამოცხედებანი *).

ცნობანი ემაწვილთ ბუნებითის ევაველისათვის და
აჭრილის ძროხის ევაველისათვის.

ეჭიში ამტკრელნი ევაველისანი ამტკიცებენ, რომ
ძროხის ევაველი უფრო საშიში არის, ვადრე ბუნებითი
ემაწვილთ ევაველი და ამ სენით ყრძანი იხრეტოანს უფ-
რო ძვირად, ვიდრედა ძროხის აჭრილის ევაველიათ.
სხვანი არწმუნებენ, რომელ თემტალა იქმნებანს მსგავს-
ნი შემთხვევანი, გარნა ისინი ფრიად იშვიათანი არიან.

ერთი მკურნალი, რომლისცა ჰაზრი ვერა არს
კიდე მიღებულა—იტყვის, რომელ ყრძათა, რომელთაცა
ჰქონიესთ ბუეებითი ემაწვილთ ევაველი, არ ეოფილა
მაგალითი შექუროდეთ ძროხისა. გარნა, რომელთაცა
ჰქონიესთ ევაველი ძროხისა ვიდრედა უწინარეს რვისა
წლისა, შექუროთ ჩუეულებრივი ემაწვილთ ევაველი და
დასტირებათ ხანგრძლივი ეჭიმოსა და მარადის მოქ-
რევა.

ეს სენი ეკროზიულთ მკურნალთ რიგინად შეუს-
წავლიათ და შესახებ ამისა მკურნალიცა უფალი ძონ-
როცა ჰგონებს, რომელ მრავალთა მათ, რომელთაცა
ჰგონიანთ აჭრილი ევაველი ძროხისა, მიუღიანთ ადვილად
ბუნებითიცა ევაველი. მიხეზად ამისა ჰგონებს იგი, რომ-
ელ არს გულმოდგინება, რომლითაცა აუჭრიან ევა-
ვილსა ძროხისასა, მოიქცევიან ეოველსა შინა განგრძო-
ბასა სხუელებისასა. აჭრა ირაცსების ფრიად ადვილ სა-
ქმედ, და ეოველი გზა არს ჰელეოფად მისა, ხოლო
შორის მისა თვით მკურნალთა არა დამტკიცელთა სხუე-
ლების წარმოებისათა, არა ძალუძსთ დარწმუნებულ ეო-
ფად, ნამდვილ გამოჩენილ არსა ძროხის ევაველი? გარ-
ნა ეოველთა დაცვათა მიერ დამტკიცდების, რომელი
კაცნი, რომელნიცა შემდგომად ძროხის ევაველისა მიი-
ღებენ ჩუეულებითის ევაველსა ისღიან მას თვინიერ ეო-
ვლისა საშიშროებისა.

დიდ ფრიად საამოდ წარსაკითხარს წიგნი, რომ-
ლისგანცა მოღებულ არიან წინადადებულნი აქა შენი-
შვანნი, იგი იზერობს თვის შორ მრავალთა გამყოფი-
ლებით გამოსადიებულთა ცნობათა ვიდრედა კაცთა თვის-

ცა უქცნათ. ხუენ მხოდოდ წინადაცხადებთ უკანს-
კხელსა ჳახრსა უფლის მონროს შენიშვნისჯან.

აქა იგულისხმების წიგნი უფლის მონროსი სსვა-
და-სხვათა დაცვათათვის ყოველთა გვართა ყვევილისათა
და უქცესად მისი, რომელიცა იქმების შემდგომად
ძროხის ყვევილისა.

შემლილი სიუვარულისჯან *)

დ რ ა მ ა ხ უ თ ს ა ქ ტ ა დ

თხზულება ღონ მანუელ ტამაისი და ბაუსისა.

მოქმედნი პირნი:

- ღედოფალი ღონა ხუანა.
- აღდარა.
- ღონა მღვირა.
- მეფე ღონ შილიპე.
- ტაპიტანი ღონ ალვარი.
- ადმირალი ტასტილიისა.
- ლუდოვიკო მარლიანო.
- ღონ-ხუან მანუელი.
- მარკიზი დე-შილიენა.
- ღონ შილიბერტო დე-მერე.
- ბარსი-პერეს, მეტრახტირე.
- ბერნანი.
- პაფი.
- ტაპიტანი სასახლის გვარდიისა.
- მოსამსახურე გოგო სასტუმროში
- 1) სასახლის მანდილოსნები.
- 2) სასახლის დიდებულნი პირნი.
- 1) ჯორების მღევარნი.
- 2)
- 3)

*) ამ პიესას ისპანიის თანამედროვე დრამატულ ლიტე-
რატურაში არ უნდა ეჭიროს უღირსი ადგილი. პირველად იგი
წარმოდგენილ იქმნა მადრიდში, სახელოვანი აქტორისა თეოდორა
ლამადრიდის ბენეფისში. იმდენად სახელოვანად იყო წარმოდგენი-
ლი, რომ ისპანიის სათეატრო რეპერტუარიდან არ ირიცხება.
ეს პიესა ბევრს ენაზე არის გადათარგმნილი და რიგიახთაც
გამოდის სცენაზე. შესანიშნავმა რისტორმა ამ პიესაში იპოვნა
შესაფერი როლი.

ამ პიესის ავტორი, შვილი აქტორისისა და აქტიორის ქმა,
ჭაბუკობითვე დაუნდოვდა თეატრის საქმეს და ძალიან ახალგაზდა-
მ იყო პიესების წერა. უმთავრესი მისი დრამატული მოქმედება
გაუთუნის 50 წლებს.

სასახლის მანდილოსნები, გრანდები, ტეები, ექიმები, პაფები, სალდათები კასტილიისა,
ფლამანის სალდათები, ჯორების მღევარნი და მა-
სკით მოკმაზულები.

პირველ აქტში მოქმედება სწარმოებს—ტუ-
დელ-დე-ღუეროში, მეორე აქტი—სასტუმროში
ტუდელის ახლო, დანარჩენი აქტები—ძონეტაბლას
სასახლეში ბურტოსში.

1508.

პირველი აქტი.

დარბაზი ტუდელ-დე-ღუეროს სასახლეში: მ-
რუნიკ ვარება, მარცხნივ ერთს ნაწილში ფანჯარა, მე-
რეში—კარები; სცენის შუა ნაწილშია კარება. სტო-
ლი და დანარჩენი ავეჯულობა ეზოტის შესაფერი უნდა იყოს

სცენა I.

ადმირალი და ღონ-მანუელი.

ადმირალი. ბატ. ღონ-ხუან-მანუელო, თქვენ
ტყუილათა ცდილობთ დამაჯეროთ მე, რომ დე-
ლოფალი ხუანა ჭკუაზე შეიშალა.

ღონ-მანუელი. შველა ექიმების აზრი გვიმტ-
ცებს ამას.

ადმირალი. მეცნიერებას მე შეუცდომელად
არა ვთვლი.

ღონ-მანუელი. ოხ, რა ძნელია, ადმირალო,
თქვენი დაჯერება. ბანა მისი დიდებულობა გან-
შორდება იმისთანა მშვენიერს და მოსიყვარულე
მეუღლეს, როგორც ხუანაა, რომ ამის ჭკუაზე შე-
შლილობა არ იყვეს დამტკიცებული? მაშ რითი
აფხნად ეს გარემოება—რომ იგი მუდამ ერთი და
იგივე შავი ტანისამოსით არის შებურვილი და არ
იშორებს ამ ტანსაცმელს, მინამ ნაკუწ-ნაკუწად არ
იქცევა? ან კიდევ—დელოფალი რომ იშორებს თა-
ვიდგან ყველა სასახლის მანდილოსნებს და რამდენ-
იმე დღეში თავისთან არავის იკარებს, ხან მარხუ-
ლობს უეცრივ, წვიმაში გამოდის სასეირნოდ სასა-
ხლიდგან და ხან-დის-ხან გარეთ შილიპესაც ათვა-
რიელებს ხოლმე... მისი უცარი ცრემლები, უმი-
ზეზო ჯავრობა, მისი უცნაური ქცევანი,—განა სუ-
ყველა ეს არ გვიმტკიცებს დედოფლის ჭკუაზე შე-
შლილობას?

ადმირალი. სუყველა ეს ამტკიცებს, რომ,
ვინც ბევრს იტანჯება, ის ცოტასა ფიქრობს თავის
თავზე, ამტკიცებს კიდევ იმასაც, რომ ღონ-შილი-
პე აესტრიისა უღირსია დედოფალი ხუანას დალი-
ჯისა (Тронъ) და ამისთანა მეუღლის სარეცელისა.

ღონ-მანუალი. სასტიკათა სჯით.

ადმირალი. ღონ შილიპე, როგორც სამიჯნუ-რო მანქანებით გატაცებული კაცი ცდილობს განთავისუფლდეს ეჭვიანი მეუღლისაგან და, როგორც პატივის მოყვარე მეფე—ძასტილიის ნამდვილი დედოფლისაგან. ნუ თვალთ-მაქცობთ, ღონ მანუელო, რომ მითომ ეს თქვენ არ იცოდეთ. ზეფიცებით ღმერთსა და ჩემს სულსა—რომ მე უფრო მალე მოვისწრაფებ სიცოცხლეს, მინამდისინ ვუღალატებ იმ პატივს, რა პატივითაც უნდა იყენენ აღგზნებულნი სუყველა კასტილიელების გულები კანონიერი დედოფლისადმი.

ღონ-მანუალი. თქვენი და სუყველა თქვენი თანა-მოაზრებების ახირება მიაღწევს იქამდისინ, რომ დედოფლის ავად-მყოფობა დღითი-დღე გაძლიერდება, მაშინ როდესაც მარტოობა წამლად გადაექცეოდა....

ადმირალი. სხორება მეტის მეტად მოსაწყენი იქნებოდა, სუყველა რომ ერთნაირად ფიქრობდეს.

ღონ მანუალი. თქვენ, როგორცა სჩანს, ალბის გერცოგის მომხრეებს უნდა ეკუთვნოდეთ, იმ გერცოგის მომხრეებს, რომლებიც ცდილობენ ხელ-ახლად მიანიჯონ მეფე შერდინადს დალიჯი მისი ქალისა.

ადმირალი. ჩემი სინილისის საქმეში ანგარიშს მარტოკა ჩემს თავს ვაძლევ და სხვას არავის. თქვენ კეშმარიტება სთქვით: ისპანიის დალიჯი ეკუთვნის ღონია ხუანას, იზაბელის ქალსა და მემკვიდრეს, და მე ვეცდები რომ ლალატით არ ჩაიგდოს ხელში მისმა მეუღლემ, აესტრიის ერც-გერცოგმა. მისმა თანა-მემამულეებმა საკმარისად აგვიბეს თვალები. მათი სინაზბე უფრო ჩვენი მხრის ოქროს ელოლიაება, მინამ მის კეთილ-დღეობას.

ღონ მანუალი. მაშ რა უნდა უთხრა მის დიდებულებას?

ადმირალი. ჩემი იმედი ნურაფერში გექნება-თქო, თუ ვინიცობაა შეეხები ჩვენი კანონიერი დედოფლის თავისუფლებასა-თქო.

ღონ მანუალი. ზეცა იყვეს თქვენი მფარველი..

ადმირალი. აგრეთვე თქვენიც.

ღონ მანუალი. (თავისთვის) ღაკარგული დრო! (მიდის).

ადმირალი. (თავისთვის) ტყუილი შრომაა, ღონ ხუან მანუელო!

აღ. ნ—თ—ქე.

(შემდეგი იქნება)

თავ. ალექსანდრე ზავჭავაძის ქმ. ზავჭავაძე (სურათზე)

ალექსანდრე ზავჭავაძე, ჩინებული ქართველთა მოღვაწე, ცოტა არ იყოს თეატრსაც ნათესაობს. მან გადმოთარგმნა ქართულს ენაზე, ლექსათ, რასინის დრამა „ცინნა“; რასინისავე—„ფედრი“ და ვოლტერის—„ზაირა“. („ცინნა“ იყო დაბეჭდილი ზიორგი მრისთავისაგან ჟურნალს „ცისკარში“ 1853 წელს). ამასთან ალექსანდრე ზავჭავაძის ოჯახი პირველი სახლი იყო საქართველოში, საცა თბილისის საზოგადოებამ პირველათ მოისმინა დრამა რუსულს და ქართულს ენაზე. რუსულათ პირველათ აქ გაიცნო თბილისის საზოგადოებამ „ვაი კკუისაგან“ დრამა ზრიბოედოვისა, რომელსაც ბოლოს ჩვენმა პოეტმა მიათხროვა თვისი ქალი, ნინო.

თეატრზე უფრო ერთ-გულათ და სარგებლიანათ აღ. ზავჭავაძე მსახურა ქართულ ლირას. როგორც ლირიულს პოეტს, რომელმანც ჰგალობა ღინო და სიყვარული, აღ. ზავჭავაძეს ქართულ მწერლობაში სხვა არა ვინა ჰყავს ბადალი. მისი ლექსთ-კრების პირველი ნაწილი, გამოცემული პეტრე შმიკაშვილისაგან 1881 წელს, შეიცავს 98 ლექსს.

მეორე ნაწილში მოსაქცევი ლექსებიც იკრიბება ცოტ-ცოტად სხვა-და-სხვა საქართველოს კუთხეებდამ. ზოგიერთი მათგანი ჟურნალს „ივერიაში“ იყო კიდევ დაბეჭდილი, პირველი ნაწილის გამოცემის შემდეგ.

ალექსანდრე ზავჭავაძე დაიბადა 1786 წელს, ქალაქს პეტერბურგში, საცა მამა მისი ზარსევანი იყო გაგზავნილი ელჩათ მეფე შრეკლესაგან. ზარსევან ზავჭავაძე დიდის პატივით იყო მიღებული რუსეთის სასახლეში და ახალ-დაბადებული მისი შვილი მონათლეს ეკატერინე II და დიდმა მთავარმა ალექსანდრემ, შემდეგში ალექსანდრე პირველმა. შმაწვილის აღზრდაზე მამა მისი და ნათლიები დიდად ზრუნავდენ. სიყმაწვილეშივე პატარა ალექსანდრე ლაპარაკობდა ფრანციულს, ნემეკურს, სპარსულს და რუსულს ენაზე.

პოეტი დიდად ნამსახური იყო სამოქალაქო და სამხედრო ასპარეზზე; ჰქონდა ჩინი ღენერალ-ლეიტანტისა და ბევრი კავალერის ორდენები.

სამსახურში შევიდა ის სასახლის კამერ-პაჭათ 1804 წელს; 1812 კახეთის ბუნტის დროს მარკიზ პაულიჩის ბრძანებით ის ამშვიდებდა აჯანყებულებს და ამათთან ბრძოლაში, I მარტს, დაჭრილ იქმნა მძიმეთ, სოფელს ჩუმლაყთან; 1814 წელს იმას

ეხდავთ რუსების ჯარში, რომელმაც პარიჯი აიღო; 1828 წელს დანიშნულ იქმნა სომხეთის მმართველად; 1829-ს სამხედროს-სამხედრო უმფროსად კახეთში. ამ დროს ის უკვე გენერალ-მაიორი იყო და ღიდი დასაჩუქრებული ორდენებითა.

1832 წელს მას ერთი განსაცდელი ეწია, რომლისაგან ვერც სამსახურმა დაიხსნა და ვერც გვარი-შვილობამ. საქართველოში ამ წლის ბოლოს მთავრობამ შეთქმულობა აღმოაჩინა და სხვათა შორის ბრალი დასდევს ჩვენ პოეტსაც და იგი დაიჭირეს. ზამოძიებიდამ აღმოჩნდა, რომ ალექსანდრეს ღიდი მნაწილეობა არა ჰქონია რა ამ შეთქმულობაში, მაგრამ ის მაინც გაამტყუნეს და 1834 გაგზავნეს რამდენიმე ხნით ტამბოვში, სასინანულოდ.

ტამბოვიდამ ა. ჭავჭავაძე მალე დაბრუნდა სა-

ქართველოში, დანიშნა სხვა-და-სხვა უმაღლეს სამხედრო და სამხედრო ადგილებში, უკანასკნელში მწვერად ძავეკაზის ნამესტნიკის რჩევისა და იმავე დროს ნაჩაღნიკად მთელი ფორმების უწყებისა ძავეკასიაში; ამას გარდა სიკვდილის წინად პარანკოვმა დანიშნა იგი თბილისის თეატრის საქმეთათვის დანიშნული კამისიის წევრად.

ალექსანდრე ჭავჭავაძე გადაიცვალა 6 ნოემბერს 1846 წელს. ის არის დასაფლავებული ძახეთის შუა მთის მონასტერში. იმ ძეგლზე, რომელიც ალუშარათა მას მისმა სიძემ, სამეგრელოს მთავარმა დავით ლადიანმა, წარწერილია: „თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე მიიცვალა ამ წლის 6 ნოემბერს ჩემე. მწუხრსა განისვენოს ტირილმან და ცისკარსა სიხარულმან“. ფსალ. კ. თ.

რედაქტორი და გამომცემელი ვ. ხაჩიძე.



გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა ნ ი

საუოველ-კვირბო ლიტერატურული და მსატვრობითი გაზეთი

„თეატრი“


გამოდის 1885 წ. ენკენისთვიდამ ქ. თბილისში. გაზდა პირ-და-პირი თვის დანიშნულებისა, ე. ი. ადგილობრივი თეატრების (განსაკუთრებით ქართული) მდგომარეობის დაწვრილებით აღწერის, „თეატრი“, ჩვენ ლიტერატურასაც თვალს ადევნებს. დრო გამოშვებით „თეატრი“-სა მკითხველი ნახავს მოთხრობებს, ლექსებს და ბევრს სსკა-და-სსკა, ჩვენს მკითხველთათვის, საუფრადღებო ამბებს.

ჩვენ ლიტერატურაში გამომჩენილ მოღვაწეთ „თეატრი“-ს აღუთქვეს თავიანთი მონაწილეობა.

„თეატრი“ გამოვა კვირაში ერთსეულ, კვირაობით. ფასი „თეატრი“-სა: წლით როგორც ქალაქის, აგრეთვე გარეშე სკლის მომწვრთათვის ღირს ხუთი (5) მანეთი, ნასეკარის წლით—სამი (3) მანეთი. ცალკე ნომერი ღირს სამი შაური.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში თეატრია-ს რედაქციაში და გრიგ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

აუთაისში—მ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакция „Театръ“.



გ. ჩარსვიანის

წიგნის მკვლევარის იხილება

სურათი

ჩვენის განსვენებულის პოეტის
თავ. ალექსანდრე ჰამბუაძისა

მხატვრობა ალ. ბუნიძისა

ფასი ჩინებულ ქალაქზე მართი აბაზი.

ვინც ათზე მეტს გამოიწერს, თითო სურათი სამ
შაურათ დაეთმობა.

ВЪ ГОРОДѢ КАРСѢ,
ВЪ КАНЦЕЛЯРІИ ВОЕН. ГУБЕРНАТОРА
КАРСКОЙ ОБЛАСТИ

**ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА ГАЗЕТУ**

„КАРСЪ“

НА БУДУЩІЙ 1886 ГОДѢ.

газета „КАРСЪ“ въ 1886 году будетъ издаваться на тѣхъ же основаніяхъ, какъ и въ текущемъ году, подъ тою же редакціею.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

съ доставкою и пересылкою въ годъ три рубля, за четыре мѣсяца одинъ рубль.

Подписка принимается въ Канцеляріи Военнаго Губернатора, куда адресуютъ свои требованія и иногородные.

Газета „КАРСЪ“ имѣетъ ближайшею цѣлью всестороннее изученіе Карсской Области и распространеніе въ обществѣ вѣрныхъ и точныхъ свѣдѣній, какъ о нынѣшнемъ ея состояніи, такъ и о мѣропріятіяхъ, направленныхъ къ ея благоустройству. Цѣль эта можетъ быть достигнута въ той мѣрѣ, въ какой лица, имѣющія, по своему положенію, возможность собирать свѣдѣнія по тѣмъ или другимъ вопросамъ, касающимся Области, ея населенія и распложенныхъ въ ея предѣлахъ частей воишь, выразить свое сочувствіе газетѣ и пожелаютъ оказать ея редакціи просвѣщенное свое содѣйствіе сообщеніемъ имѣющихся въ рукахъ свѣдѣній и матеріаловъ; а потому редакція убѣдительно проситъ этихъ лицъ не отказать ей въ своемъ участіи.

Дозволено Цензурою Тифлисъ, 1885 г. 2 ноября.

სტამბა

გ. ჩარკვიანისა

იღებს ყოველ სასტამბო საქმიანს დასაბუჯდომ
თბილისი ლარის-მელიქ. ქუჩაზე წუბალოვის სასტამბოში
სემინარიის პირ-და-პირ.

დაიბეჭდა და იხილება
გ. ჩარკვიანის წიგნის მკვლევარის
ქართული მწერლობა

მეცამეტე საუკუნეა და მეოთხესამეტე საუკუნეა
წიგნში შეკრებილი და შეტანილია ყველა
იმ მწერალთა სახელები, ვინც კი ცნობილ
არიან საქართველოს საეკლესიო და სამოქალაქო
ისტორიებში, როგორც საერონი, ისევე
სასულიერო პირნი და განსაკუთრებით ქართველთ
კათალიკოზნი. მოხსენებულთა აგრეთვე ყველა
იმ წიგნებთა სახელები, რომლებიც დამწერთა
ვინაობა არა სჩანს და ზოგ თხზულებებზე
დასაბუჯდომ არ მოუხწევიათ.

ფასი 25 კაპ.

მიიღება ამ 1885 წ. სელის მოწერა
ყრმათა საკითხავ საყოველთაო სურათებთან ყურნალ

„ნობათზედ“

პედაგოგიური ნაწილის დამატებით—
მშობელთათვის და აღმზრდელთათვის.
მთელი წლით ყურნალი „ნობათი“ ღირს
ოთხ მანათი. ხელის მოწერა მიიღება
„ნობათი“-ს რედაქციაში.

„ნობათი“-ს რედაქცია ახალს სადგურში
გადავიდა.

აღრესი: სოლოლაკი, შრეილინის ქუჩა,
№ 7, ჩაიგემტოვის სახლი.

(3—3)

Типографія Гр. Чарквіани. სტამ. გ. ჩარკვიანისა.